4 დეკემბერი
ოთხშაბათი,
1963 წ.
№ 239 (2344)
გამოცემის მე-20 წელი.
ფასი 3 კაპ.

# საკავშირო საჭადრაკო ჩემპიონატები

## ლ ე ნ ი ნ გ რ ა დ ი

VI ტურში დაძაბული ბრძოლის შემდეგ დამთავრდა მხოლოდ ხუთი პარტია. ტურნირში პირველი გამარჯვება მოიპოვა სპასკიმ, რომელმაც მოუგო დნეპროპეტროვსკელ ნოვოპაშინს.

ბრონშტეინმა და გელერმა თავი აარიდეს მწვავე შეტაკებას და დაზავდნენ. სამაგიეროდ, გიპსლის-სუეტინის, კლოვან-ნეის, გუფელდ-ხოლმოვისა და ფურმან-ბაგიროვის პარტიებში თამაში მწვავედ მიმდინარეობდა, მაგრამ აქაც ყაიმი იქნა აღნიშნული.

დანარჩენი პარტიები გადაიდო.

VI ტურის შემდეგ წინ არიან ე. გელერი, ვ. ბაგიროვი და რ. ხოლმოვი — 4 ქულა თვითეულს.

## ბ ა ქ ო

ქალთა პირველობის XI ტურში დამთავრდა მხოლოდ სამი პარტია. მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა ვოლპერტმა პარტიაში ბორისენკოსთან. წინ წაიწია აგრეთვე ზატულოვსკაიამ, რომელმაც მოუგო ესტონელ როოტარეს. დმიტრიევამ გაიმარჯვა ზვორიკინასთან.

დანარჩენი პარტიები არ დამთავრებულა. ჩაიკოვსკაიას გადადებულ პარტიაში ბიკოვასთან ძალზე რთული მდგომარეობა აქვს. კაკაბაძეს მოსაგები პოზიცია აქვს კოზლოვსკაიასთან.

XI ტურის შემდეგ პირველობას კვლავ ლიდერობს მოსკოველი საერთაშორისო ოსტატი ა. კუშნირი — 8,5 ქულა და ერთი გადადებული პარტია.

# ვინ შეხვდება მსოფლიო ჩემპიონს?

1965 წელს მსოფლიო ჩემპიონს ჭადრაკში ქალთა შორის ნ. გაფრინდაშვილს მოუხდება თავისი მაღალი ტიტულის დაცვა მატჩში პრეტენდენტთან. მაგრამ ვინაა ეს პრეტენდენტი, ჯერ არ არის ცნობილი. 1964 წლის ოქტომბერში მოსკოვში თავს მოიყრის 16 პრეტენდენტი და ისინი ერთმანეთთან ბრძოლაში გაარკვევენ, თუ ვინაა მათგან უფრო ღირსეული ხელყოს მსოფლიო ჩემპიონის ტახტი.

ამჟამად უკვე ცნობილია 13 პრეტენდენტი. საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციამ პრეტენდენტთა ტურნირში მონაწილეობის პერსონალური უფლება მისცა მხოლოდ მსოფლიოს ექს-ჩემპიონს ე. ბიკოვას, პრეტენდენტთა 1961 წლის ტურნირის პრიზიორებს ვ. ბორისენკოსა და კ. ზვორიკინას, ხოლო მსოფლიოს სხვა მოჭადრაკეებს შესთავაზა მონაწილეობა ზონალურ ტურნირებში. სამი ზონალური ტურნირი უკვე დამთავრდა.

აღმოსავლეთ ევროპის ზონალურ ტურნირში გაიმარჯვეს რუმინელმა მ. ტეოდორესკუმ, პოლონელმა ჰ. კონარკოვსკამ, უნგრელმა ბ. კარაკაშნემ და ჩეხმა კ. ერეტოვამ.

დასავლეთ ევროპის ზონალურ ტურნირში, რომელიც ეს-ესაა დამთავრდა ბად-ნეიპარეში, ფინიშთან პირველი მივიდნენ იუგოსლაველები ვ. ნედელკოვიჩი, კ. იოვანოვიჩი, მ. ლაზარევიჩი და ბულგარელი ლ. ივანოვა.

ამერიკის შეერთებული შტატებიდან პრეტენდენტთა ტურნირში ითამაშებენ ლ. ლეინი და გ. გრესერი.

ამრიგად, ჯერჯერობით უცნობია პრეტენდენტთა ტურნირის კიდევ სამი მონაწილე. ეს მოჭადრაკეები უნდა გამოავლინოს მეოთხე ზონალურმა ტურნირმა — საბჭოთა კავშირის ქალთა 1963 წლის პირველობამ, რომელიც ამჟამად მიმდინარეობს ბაქოში. ის, ვინც ტურნირში დაიკავებს პირველ სამ ადგილს, მოხვდება პრეტენდენტებში.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

# საინტერესო ფაქტები

**დამთავრდა** სსრ კავშირის XXV ჩემპიონატი ფეხბურთში. გაზეთ „სოვეტსკი სპორტში" გამოქვეყნებულია საინტერესო სტატისტიკური ციფრები განვლილი ჩემპიონატიდან.

△ **საინტერესოა**, რა მაჩვენებლებით დაამთავრეს ჩემპიონატი პირველ ხუთეულში მოხვედრილმა გუნდებმა საკუთარ და მოწინააღმდეგეთა მინდვრებზე. ირკვევა, რომ საკუთარ მინდორს ძალზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მონაწილეთათვის. ამ მხრივ გაცილებით უკეთეს მდგომარეობაში არიან მოხვედრილი მოსკოვის გუნდები, რომლებსაც მეტი წილი თამაშების ჩატარება უხდებათ თავიანთ ქალაქში. ამიტომ მათი მაჩვენებელიც უფრო თანაბარია. მაგალითად, სსრ კავშირის ჩემპიონმა — მოსკოვის „დინამომ" თავის მინდორზე მოიგო 12 შეხვედრა, 4 ფრედ დაამთავრა და 3 წააგო. მოწინააღმდეგეთა მინდვრებზე დინამოელებმა 9 მატჩი მოიგეს, 9 ფრედ დაამთავრეს და 1 წააგეს. დაგროვებულ ქულათა რაოდენობა პირველ შემთხვევაშია 28, ხოლო მეორეში — 27.

მოსკოვის „სპარტაკმა" მასპინძლის როლში მოიგო 13 შეხვედრა, 3 წააგო და ამდენივე ფრედ დაამთავრა (29 ქულა). მოწინააღმდეგეთა მინდვრებზე „სპარტაკმა" მოიგო 9 თამაში, 5 წააგო და ამდენივე ფრედ დაამთავრა (23 ქულა).

განსაკუთრებით შესამჩნევია საკუთარი კედლების გავლენა ჩემპიონატის მესამე პრიზიორის — მინსკის „დინამოსათვის". მინსკელებმა თავიანთ ქალაქში მოიგეს 12 შეხვედრა, მოწინააღმდეგეთა მინდვრებზე კი მხოლოდ 6. დინამოელებმა მინსკში წააგეს მხოლოდ 2 მატჩი, ხოლო მგზავრობისას — 6. შედარებით თანაბარია ფრედ დამთავრებული შეხვედრების რაოდენობა: მინსკში 5, სხვაგან — 7. მინსკელებმა შინ დააგროვეს 29 ქულა, ხოლო სხვა ქალაქებში — 19.

იგივე ითქმის როსტოვის არმიელთა გუნდის შესახებაც. როსტოველებმა თავიანთ ქალაქში მოიგეს 13 შეხვედრა, 4 დაამთავრეს ფრედ და 2 წააგეს (30 ქულა). მოწინააღმდეგეთა მინდვრებზე როსტოველებმა მოიგეს 7 შეხვედრა, 3 ფრედ დაამთავრეს და 9 წააგეს (17 ქულა).

თბილისის დინამოელები, როგორც ყოველთვის, თავიანთი აქტივის დიდ ნაწილს იღებენ საკუთარ სტადიონზე. აქ წელს მათ მოიგეს 12 თამაში, 6 დაამთავრეს ფრედ და მხოლოდ ერთი წააგეს. მოწინააღმდეგეთა მინდვრებზე თბილისელებმა მოიგეს მხოლოდ 5, 7 დაამთავრეს ფრედ და 7 წააგეს. ეს ძალზე დიდი განსხვავებაა: საკუთარ მინდორზე მხოლოდ 1 დამარცხება, ხოლო მგზავრობაში — 7. თბილისელებმა შინ დააგროვეს 30 ქულა, ხოლო მეტოქეთა სტადიონებზე—17.

ამ მაჩვენებლით გაცილებით უკეთესად გამოიყურება ქუთაისის „ტორპედო". ქუთაისელმა ფეხბურთელებმა წელს შესანიშნავად ჩაატარეს გათამაშება და არა მარტო შეასრულეს მათ წინაშე დასახული ამოცანა — „ა" კლასის პირველ ქვეჯგუფში დარჩენა, არამედ XII ადგილზეც გამოვიდნენ. ქუთაისელმა ფეხბურთელებმა 3 მატჩი მოიგეს შინ და 3 — მგზავრობისას. ტორპედოელებმა სამჯერ დატოვეს დამარცხებულებმა მინდორი თავიანთ ქალაქში, ხოლო მეტოქეთა სტადიონებზე — რვაჯერ. ქუთაისში მათ ფრედ დაამთავრეს 13 მატჩი, ხოლო სხვა ქალაქებში — 8. ტორპედოელებმა შინ აიღეს 19 ქულა, ხოლო მგზავრობისას — 14.

△ **როგორც ცნობილია**, 1963 წლის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირია როსტოვის არმიელთა გუნდის ფორვარდი ო. კოპაევი, რომელმაც მოწინააღმდეგეთა კარში გაიტანა 27 ბურთი. მეორე ადგილზეა მინსკის „დინამოს" ცენტრალური თავდამსხმელი ე. მალაფეევი — 21, მესამეზე — (17 ბურთით) ვ. ივანოვი („ტორპედო", მოსკოვი), 16 ბურთი გაიტანა ბ. კაზაკოვმა („კრ. სოვეტოვი"), 15 — ი. სევიდოვმა („სპარტაკი"). 14 გოლის ავტორები არიან ვ. ბარქაია („დინამო", თბილისი), ვ. კანევსკი და ო. ბაზილევიჩი („დინამო", კიევი), გ. ჰუსაინოვი („სპარტაკი") და გ. კრასნიცკი („პახტაკორი").

△ **ჩემპიონატის** მსვლელობაში სულ დანიშნულ იქნა 48 პენალტი, აქედან 34 პენალტის დარტყმის უფლება მიეცათ მასპინძლებს და 14-ისა სტუმრებს. 11 პენალტი არ იქნა რეალიზებული. მოსკოვის სპარტაკელები 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმის უფლებას, როგორც წესი, ანდობდნენ თავიანთ ფორვარდს ი. სევიდოვს. მან 5 დარტყმა ზუსტად გამოიყენა და 1 გააფუჭა. ხარკოვის „ავანგარდს" გოლის გატანის ამ უაღრესად ხელსაყრელი შესაძლებლობის უფლება მიეცა ექვსჯერ, მაგრამ გუნდმა მათგან გამოიყენა მხოლოდ 4. ერევნის „არარატმა" 4 პენალტიდან 2 ვერ გამოიყენა.

△ **ლონდონში** გამართულ საუკუნის მატჩში მსოფლიოს ნაკრების კარს იცავდა გამოჩენილი საბჭოთა მეკარე ლ. იაშინი. როგორც ცნობილია, ინგლისელებმა იგი ვერც ერთხელ ვერ აიძულეს გამოეტანა ბადიდან ბურთი. ჩვენი ქვეყნის პირველობაზე მოსკოვის „დინამომ" გაუშვა სულ 14 ბურთი. თვით იაშინი ჩემპიონის კარში წელს იდგა 27-ჯერ და გაუშვა სულ 6 ბურთი. ე. ი. ლ. იაშინი 4,5 მატჩის განმავლობაში უშვებდა მხოლოდ ერთ ბურთს. უცხოეთის, კერძოდ, საფრანგეთის პრესა წერს, რომ ეს მსოფლიო რეკორდია მეკარეთათვის. იაშინის კარში ბურთები გაიტანეს ა. სიამაშვილმა („ტორპედო", ქუთაისი), ბ. კაზაკოვმა („კრ. სოვეტოვი"), კ. ტუაევმა („ნეფტიანიკი"), ვ. ბუბუკინმა („ლოკომოტივი"), ვ. ფედოტოვმა და ვ. დენისოვმა (ცსკა).

△ **მოსკოვის** გუნდების წინააღმდეგ თამაშის საუკეთესო მაჩვენებელი აქვს მინსკის „დინამოს". მინსკელებმა დედაქალაქის გუნდებთან შეხვედრებში 20 შესაძლებლიდან აიღეს 16 ქულა. თბილისის დინამოელებმა მოსკოველებთან აიღეს 11 ქულა და 9 დაკარგეს. ქუთაისის „ტორპედომ" მოსკოვის 5 გუნდთან შეხვედრებში დააგროვა 12 ქულა და 8 დაკარგა.



**სურათზე:** საბჭოთა ტანვარჯიშის ვეტერანები, სპორტის დამსახურებული ოსტატები გ. ბაბილოძე (მარცხნიდან პირველი) და ა. ჯორჯაძე (მარჯვნივ) ესაუბრებიან საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტში სასწავლებლად ჩამოსულ კუბელ სტუდენტებს.

# რესპუბლიკური რეკორდი

სოხუმში გამართულ აფხაზეთის მძლეოსანთა პირველობაზე წარმატებით გამოვიდა სპარტაკელი ვ. ჩხეიძე. მან სამხტომში აჩვენა 15.92 მეტრი და 4 სანტიმეტრით გააუმჯობესა რესპუბლიკური რეკორდი, რომელიც მასვე ეკუთვნოდა.

# შეჯიბრების მეორე დღე

კალათბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის მეორე კალენდარული მატჩი თბილისის „დინამოს" ჰქონდა დუშანბეს „ტაჯიკისტანთან". „დინამოელებმა მოიგეს პირველი ნახევარი — 39:31, ხოლო მეორე ტაიმში შეინარჩუნეს უპირატესობა და გაიმარჯვეს — 77:67. ჩვენი რესპუბლიკის მეორე გუნდი — „პოლიტექნიკი" ამ დღეს შეხვდა კაუნასის „ჟალგირისს" და დამარცხდა — 54:68 (19:33).

კაუნასის ჯგუფში, სადაც გამოდიან ჩვენი კალათბურთელები, წინ არიან ლენინგრადის „სპარტაკი" და ადგილობრივი „ჟალგირისი". ორივე გუნდს 2-2 ქულა აქვს. თბილისის „დინამო" და „პოლიტექნიკი" თითო ქულით III-IV ადგილებს იყოფენ. არც ერთი ქულა არა აქვთ „ტაჯიკისტანს" (დუშანბე) და სკიფს (ფრუნზე).

ვაჟთა ჩემპიონატის დანარჩენ ჯგუფებში ასეთი მდგომარეობაა: **გომელის ჯგუფი** — ცსკა — 2 ქულა, „კალევი" (ტარტუ) — 2 ქულა, „სპარტაკი" (მინსკი) — 2 ქულა, „ურალმაშს" (სვერდლოვსკი), „ბურევესტნიკს" (ოდესა) და „ბურევესტნიკს" (მოსკოვი) — არც ერთი ქულა.

**ლენინგრადის ჯგუფი**—„სტროიტელი" (კიევი) — 2 ქულა, ვეფი (რიგა) — 2 ქულა.

**ალმა-ატის ჯგუფი** — სკა (რიგა) — 2 ქულა, „დინამო" (მოსკოვი) — 2 ქულა.

წარუმატებელი სტარტის შემდეგ გამარჯვება მოიპოვა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქალთა გუნდმა. მან ანგარიშით 52:38 (31:12) დაამარცხა დნეპროპეტროვსკის „სტალი". ამ ჯგუფში (იგი თამაშდება დნეპროპეტროვსკში) ლიდერობენ ლენინგრადის სკა და ტაშკენტის „ტექსტილმაში". მათ აქვთ 2-2 ქულა. ჩვენი კალათბურთელები მასპინძლებთან ერთად იყოფენ III-IV ადგილებს.

ქალთა ჩემპიონატის დანარჩენ ჯგუფებში ასეთი მდგომარეობაა: **ელექტროსტალის ჯგუფი** — დამაჯერებლად ლიდერობს მოსკოვის „სერპ ი მოლოტი" — 2 ქულა.

**მინსკის ჯგუფში** წინაა საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონი რიგის ტტტ. მას აქვს 2 ქულა (ორი თამაშიდან).

# სპორტსმენთა შორის
# იდეოლოგიური მუშაობის გაუმჯობესებისათვის

★

**სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ცენტრალური საბჭოს VIII პლენუმი**

★

მოსკოვში ორ დღეს გრძელდებოდა სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ცენტრალური საბჭოს VIII პლენუმი, რომელმაც განიხილა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის დადგენილება „იდეოლოგიურ მუშაობაში პარტიის მორიგი ამოცანების შესახებ“ და ფიზკულტურული ორგანიზაციების მიერ ამ ამოცანების შესრულების მიმდინარეობა. პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ სპორტული ორგანიზაციების ხელმძღვანელი მუშაკები, ცნობილი მწვრთნელები, სახელმოხვეჭილი სპორტსმენები, მონაწილეთა შორის იყვნენ აგრეთვე სახალხო განათლების ორგანოების მუშაკები, ქარხნების, ფაბრიკების პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის იდეოლოგიური განყოფილების გამგის მოადგილე ი. უდალცევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის იდეოლოგიური განყოფილების სექტორის გამგე ი. ა. ზუბკოვი. მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარემ ი. დ. მაშინმა. მომხსენებელი ვრცლად შეეხო სპორტსმენთა აღზრდის საკითხებს, ილაპარაკა ამ საქმიანობაში წარმატებებისა და ჯერ კიდევ არსებული ნაკლოვანებების შესახებ. მომხსენებელი ვრცლად შეეხო საშუალო სკოლების მოსწავლეთა შორის აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების, ბავშვთა სპორტული სკოლების ქსელის გაფართოების საქმეს. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ბავშვთა ფიზიკურ აღზრდაში ჩვენს წინაშე დასახული ამოცანების განხორციელებისათვის უნდა იბრძოლოს სკოლამ, კომკავშირმა, ოჯახმა, სპორტულმა საზოგადოებამ... ი. მაშინმა თავის მოხსენებაში დიდი ადგილი დაუთმო სოფლად მუშაობის საკითხს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმმა აღნიშნა, რომ პარტიის იდეოლოგიური იარაღი ყოველთვის ბასრი უნდა იყოს. ეს შეეხება იდეოლოგიის ყველა საშუალებებს და პირველყოვლისა პრესას, კინოს, რადიოსა და ტელეხედვას, რომლებიც ფართო ადგილს უთმობენ ფიზიკური კულტურისა და სპორტის პროპაგანდას. გაზეთი „სოვეტსკი სპორტი“ თავისი დამატებით გამოდის ერთ მილიონზე მეტი ტირაჟით, ცენტრალური საბჭოს 6 ჟურნალის ტირაჟი აღწევს 400 ათასს, გამომცემლობა „ფიზკულტურა ი სპორტი“ ყოველწლიურად უშვებს 200 დასახელების წიგნსა და ბროშურას 5 მილიონი ეგზემპლარის რაოდენობით. ცენტრალურის გარდა ჩვენს ქვეყანაში გამოდის 4 რესპუბლიკური ჟურნალი და 10 რესპუბლიკური გაზეთი, რომელთა საერთო ტირაჟია 500 ათასი. საკავშირო სპორტკავშირმა უკანასკნელ ხანს თავის პრეზიდიუმზე განიხილა გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“, ჟურნალების — „ლეგკაია ატლეტიკას“, „სპორტივნიე იგრის“ მუშაობის საკითხი და მიიღო მთელი რიგი ღონისძიებები მათი საქმიანობის გაუმჯობესების შესახებ. აგიტაცია-პროპაგანდისტული მუშაობის გაძლიერების მიზნით შექმნილია სპორტის პროპაგანდის ფედერაციის ბიურო, რის შემდეგ უფრო დაუკავშირდნენ ერთმანეთს ჩვენი ფედერაციები და შემოქმედებითი კავშირები. მაგრამ ამ მიმართებით ჯერ კიდევ გვაქვს ნაკლოვანი მხარეები ფიზიკური კულტურის პროპაგანდის საქმეში. უკანასკნელ წლებში „სოვეტსკი სპორტი“ დიდ ადგილს უთმობს აღმზრდელობით საკითხებს, მის ფურცლებზე სულ უფრო ხშირად ვხვდებით მასალებს რუბრიკით — „სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებები ცხოვრებაში“, მაგრამ გაზეთი მეტ ყურადღებას უნდა აქცევდეს მასობრივი ფიზკულტურის განვითარების საკითხებს, უფრო ღრმად უნდა აყენებდეს საკითხებს მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის საქმეში. ზოგჯერ უშინაარსო მასალებით უმასპინძლდება ჟურნალი „ფიზკულტურა ი სპორტი“ თავის მკითხველებს.

რესპუბლიკებში ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების საქმეში ბევრს აკეთებენ ადგილობრივი სპორტული გაზეთები, მაგრამ რესპუბლიკის სპორტკავშირები არასათანადო ყურადღებას აქცევენ მათ, სუსტად აკონტროლებენ და წარმართავენ რედაქციების საქმიანობას. ფიზიკური კულტურის პროპაგანდის საქმეში სუსტად მონაწილეობს ტელეხედვის ცენტრალური სტუდია, რომლის პროგრამის დიდი ნაწილი უკავია შეჯიბრებათა რეპორტაჟებს, განსაკუთრებით ფეხბურთს.

პარტიის იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა იმპერიალისტური იდეოლოგიის წინააღმდეგ გაშლილი შეტევის ორგანიზაცია. საერთაშორისო სპორტული კავშირი თავისი მნიშვნელობით შორს გამოდის წმინდა სპორტულ ღონისძიებათა ჩარჩოდან. ამჟამად საერთაშორისო სპორტული კავშირი ხორციელდება 85 სახელმწიფოსთან. ყოველწლიურად 5 ათასზე მეტი საბჭოთა სპორტსმენი მიემგზავრება საზღვარგარეთ და ამდენივე უცხოელი სპორტსმენი ჩამოდის სსრ კავშირში. საბჭოთა სპორტული ორგანიზაციები აქტიურ მონაწილეობას იღებენ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტისა და 45 საერთაშორისო სპორტულ გაერთიანებებში. ჩვენი სპორტსმენები ყოველწლიურად გამოდიან მსოფლიოს, ევროპის პირველობებისა და ევროპის თასის 40 ოფიციალურ შეჯიბრებაში. სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმიდან გამომდინარე ჩვენ უნდა უზრუნველვყოთ საერთაშორისო სპორტული კავშირის კიდევ უფრო გაფართოება, ეს ყველა ფიზკულტურული ორგანიზაციისაგან მოითხოვს ყოველმხრივ გააძლიერონ პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა სპორტსმენებთან, სპორტის მუშაკებთან, რომლებიც საზღვარგარეთ მიემგზავრებიან. შემდეგ ამხ. ი. მაშინმა ილაპარაკა საბჭოთა სპორტსმენების მზადების შესახებ ინსბრუკის და ტოკიოს ოლიმპიური თამაშებისათვის.

თავისი გამოსვლის დასასრულს ამხ. ი. მაშინმა რწმენა გამოთქვა, რომ სსრ კავშირის ფიზკულტურული ორგანიზაციები ყველაფერს გააკეთებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიც თავიანთი მოსაზრებები გამოთქვეს რსფსრ-ს სპორტკავშირის თავმჯდომარემ კ. კრუპინმა, ფიზკულტურის საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორმა პროფესორმა ა. კორობკოვმა, ქ. მოსკოვის სპორტკავშირის თავმჯდომარემ პ. სტეპანენკომ, გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ მთავარმა რედაქტორმა ვ. ნოვოსკოლცევმა, საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ა. კამშალოვმა, საქართველოს სპორტკავშირის თავმჯდომარემ გ. სიხარულიძემ და სხვ.

პლენუმზე სიტყვით გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის იდეოლოგიური განყოფილების გამგის მოადგილე ამხ. ი. უდალცევი.

# საკავშირო სპორტკავშირის პლენუმზე

## საქართველოს სპორტკავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხ. გ. სიხარულიძის გამოსვლიდან

რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ორგანოების ყოველდღიური დახმარებით, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების აქტიური მონაწილეობით მასობრივ-ფიზკულტურულ და სპორტულ მოძრაობაში მოპოვებული წარმატებებისათვის საქართველოს ფიზკულტურული ორგანიზაცია უკვე 4 წელია ზედიზედ ჯილდოვდება საკავშირო სპორტკავშირის გარდამავალი წითელი დროშით. უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში რესპუბლიკაში 1,5-ჯერ გაიზარდა ფიზკულტურელთა რიცხვი და ახლა იგი შეადგენს მოსახლეობის საერთო რიცხვის 16,7 პროცენტს. ამჟამად საქართველოს ფიზკულტურული ორგანიზაციები იბრძვიან, რათა შვიდწლედის ბოლოს ფიზკულტურელთა რიცხვი გაიზარდოს 1 მილიონ კაცამდე, რაც შეადგენს მოსახლეობის 23 პროცენტს. უნდა აღინიშნოს, რომ ფიზკულტურელთა რიგების ზრდა უმთავრესად წარმოებს სოფლისა და მოსწავლე ახალგაზრდობის ხარჯზე. ამჟამად სოფლის ფიზკულტურელთა რიცხვი თავისი ძალით გაუთანაბრდა ყველა პროფკავშირულ ორგანიზაციას ერთად აღებულს. საქართველოში 1 მილიონი ფიზკულტურელი რეალური ციფრია. ჩვენს რესპუბლიკაში სსრ კავშირის ხალხთა III სპარტაკიადისწინა შეჯიბრებებში მონაწილეობა მიიღო 1.200 ათასმა კაცმა. ამას ემატება ასობით გამაჯანსაღებელი ჯგუფი, რომლებშიც ჩაბმული არიან უფროსი ასაკის ადამიანები. სპორტის მასობრიობის გარდა საგრძნობლად ამაღლდა რესპუბლიკის სპორტსმენთა ოსტატობა.

ყოველწლიურად იზრდება სპორტულ ნაგებობათა ქსელი. გასული წლის განმავლობაში აიგო 5 სტადიონი, 94 — საფეხბურთო მინდორი, 3 — საზაფხულო აუზი, 300-მდე კალათბურთის, ფრენბურთისა და სხვა სპორტული მოედანი. ამას გარდა საზოგადოებრიობის ძალებით მოეწყო მარტივი სპორტული ნაგებობანი. ყველა ამ წარმატებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის რესპუბლიკურ საზოგადოებრივ აქტივს, რომელიც ნაყოფიერად საქმიანობს 42 სპორტულ ფედერაციაში, სექციაში, მსაჯთა კოლეგიაში, მწვრთნელთა საბჭოში და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციაში.

ვლაპარაკობთ რა წარმატებებზე, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ჩვენს მუშაობაში ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვან მხარეებს. ჩვენთან ჯერ კიდევ ვერ მივაღწიეთ მაღალ სპორტულ მაჩვენებლებს მძლეოსნობაში, ველოსპორტში, ძალოსნობაში, ცურვაში, ცხენოსნობაში და სპორტის მთელ რიგ სხვა სახეობაში.

ჩვენი ცნობილი სპორტსმენები, რომლებმაც მიიღეს უმაღლესი განათლება, ამჟამად მონაწილეობენ საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში. ეს ფაქტი ლაპარაკობს იმაზე, რომ რესპუბლიკის ფიზკულტურული ორგანიზაციები ასრულებენ მათ წინაშე დასახულ ამოცანებს — აღზარდონ კომუნისტური საზოგადოების აქტიური მშენებლები, გაუღვივონ ახალგაზრდებს შრომისადმი სიყვარული, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნებისადმი ინტერესი.

რა გაკეთდა უკანასკნელ ხანებში ფიზკულტურელთა, სპორტსმენთა და მწვრთნელთა იდეური აღზრდის საქმეში? ჩვენს მიერ სისტემატური ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა წარმოებს სკკპ XXII ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებების გარშემო. ამ საკითხების განხილვისას დიდი ყურადღება ეთმობა ფიზკულტურელთა და სპორტსმენთა მობილიზაციას კომუნისტურ მშენებლობაში მონაწილეობის პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტის საკითხში. თბილისსა და რესპუბლიკის მთელ რიგ ქალაქებში მოეწყო ფიზკულტურული აქტივის შეხვედრა სკკპ XXII ყრილობის დელეგატებთან. 1961-63 წლების განმავლობაში რესპუბლიკის სპორტკავშირის პლენუმებზე ორჯერ იქნა განხილული საკითხი —„ სპორტსმენებთან და მწვრთნელებთან პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“. ამას გარდა, სპორტკავშირის პრეზიდიუმის სხდომებზე რეგულარულად განვიხილავდით ზოგიერთი სპორტსმენის მიერ დისციპლინის დარღვევის ფაქტებს. სპორტსმენთა და ფიზკულტურელთა მუშაკებისათვის თბილისში შექმნილია კულტურის უნივერსიტეტი, რესპუბლიკის სპორტკავშირში, მთელ რიგ სპორტულ საზოგადოებებში ჩამოყალიბებულია პროპაგანდისა და აგიტაციის შტატგარეშე განყოფილებები და საბჭოები. გასულ წელთან შედარებით მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ლექციური პროპაგანდა. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში გამოცემულ იქნა 15 დასახელების პოპულარული ბროშურა, მეთოდური სახელმძღვანელო, აგრეთვე მხატვრული პლაკატები და ილუსტრირებული ფოტოალბომი— „სპარტაკიადიდან სპარტაკიადამდე“.

სპორტსმენებს შორის აღმზრდელობითი მუშაობის მაღალ დონეზე დაყენება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მწვრთნელებისა და პედაგოგების კვალიფიკაციასა და მათი კულტურის დონეზე. მიუხედავად იმისა, რომ სპორტში მომუშავე სპეციალისტების უმრავლესობას უმაღლესი განათლება აქვთ, დისციპლინის დარღვევის შემთხვევებს ჯერ კიდევ აქვს ადგილი.

ყველა საშუალებებსა და შესაძლებლობებს ვიყენებთ თუ არა ჩვენი ახალგაზრდობის სწორი აღზრდისათვის? მე მინდა შევჩერდე ზოგიერთ საკითხზე, რომელიც ყურადღებას მოითხოვს და დიდი ხანია გადაუწყვეტელი რჩება. დღემდე არსებობს დებულება ჩვენს სტუდენტურ სპორტზე. ხდება ისე, რომ ყველა სტუდენტი თავს იყრის მხოლოდ ერთ სპორტულ საზოგადოებაში — „ბურევესტნიკში“. რა გამოდის? სპორტული საზოგადოებები თავიანთ სპორტულ სკოლებში ზრდიან ნორჩ სპორტსმენებს და როცა ისინი უმაღლეს სასწავლებლებში შედიან, იძულებული არიან თავიანთი კოლექტივებიდან გადავიდნენ მხოლოდ სპორტსაზოგადოება „ბურევესტნიკში“. ხშირად უმაღლესი სასწავლებლის ხელმძღვანელები აიძულებენ თავიანთ სტუდენტებს იყვნენ მხოლოდ ამ საზოგადოების წევრი. ამის შემდეგ რა სტიმული ექნება სხვა სპორტულ საზოგადოებებს, იმუშაონ ჭაბუკებთან და გოგონებთან? „ბურევესტნიკში“ თავმოყრილია ჩვენი ქვეყნის ყველა უძლიერესი სპორტსმენი და სათანადო სახსრებისა და მატერიალური ბაზის უქონლობის გამო „ბურევესტნიკს“ საშუალება არა აქვს მაღალ დონეზე მოაწყოს სასწავლო-სპორტული მუშაობა. ამიტომ ნაკლები ინტერესით ტარდება სპორტსაზოგადოებათა შორის შეჯიბრებები. ჩვენ ვთვლით, რომ სტუდენტებს საშუალება უნდა ჰქონდეთ დარჩნენ იმ სპორტულ საზოგადოებებში, რომლებმაც ისინი აღზარდა.

ახლა ჩვენი ქვეყნის ნაკრები გუნდების წევრებთან მუშაობის სტილისა და მეთოდების შესახებ. ჩვენ რასაკვირველია, გვახარებს, როცა რესპუბლიკის სპორტსმენები შეჰყავთ ნაკრები გუნდების შემადგენლობაში. მაგრამ გვხვდება ისეთი ფაქტები, როცა ნაკრები გუნდების ზოგიერთი მწვრთნელი არაფრად აგდებს რესპუბლიკის ინტერესს, ფედერაციები მიმოწერას აწარმოებენ ნაკრები გუნდების წევრებთან, აძლევენ მათ მითითებებსა და სხვადასხვა რჩევა-დარიგებას. აი რესპუბლიკის სპორტული ორგანიზაციების უპატივცემულობის ერთი მაგალითი. გამოდიოდა რა ხალხთა III სპარტაკიადაზე, ნიჩბოსანმა ა. მატკავამ არაფრად ჩააგდო თავისი კოლექტივის ინტერესები. დაჰკარგა რა საპრიზო ადგილზე გასვლის შანსი, გადაწყვიტა დაეტოვებინა შეჯიბრება. საქართველოს ნიჩბოსანთა კოლექტივმა და რესპუბლიკის სპორტკავშირის პრეზიდიუმმა განიხილა მატკავას საკითხი და მას ორი წლით დისკვალიფიკაცია მისცა. მიუხედავად ამისა, ეს სპორტსმენი კვლავ შეყვანილ იქნა ჩვენი ქვეყნის ნაკრები გუნდის შემადგენლობაში. ამას ისიც დაემატა, რომ მატკავა ჩარიცხულ იქნა ლენინგრადის ფიზკულტურის ინსტიტუტში, მაშინ, როცა მისაღები გამოცდები მიმდინარეობდა სწორედ სპარტაკიადის ვადებში. როგორც ხედავთ, საკავშირო სპორტკავშირმა, ნიჩბოსნობის საკავშირო ფედერაციამ და მწვრთნელთა საბჭომ გვერდი აუარეს რესპუბლიკის ფიზკულტურული ორგანიზაციების გადაწყვეტილებებს.

ნება მომეცით რწმენა გამოვთქვა, — დაამთავრა თავისი სიტყვა ამხ. გ. სიხარულიძემ, — რომ რესპუბლიკის ფიზკულტურული ორგანიზაციები ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რათა წარმატებით შეასრულონ მათზე დაკისრებული ამოცანები ფიზკულტურისა და სპორტის კიდევ უფრო განვითარების საქმეში.

**პლენუმმა დაადგინა:**

**1965 წლისათვის ფიზკულტურელთა რიცხვი გაიზარდოს 50 მილიონ კაცამდე; ყველა საწარმოში, კოლმეურნეობაში, სკოლაში შექმნილ იქნას ფიზკულტურის კოლექტივი.**

**პლენუმმა დაადგინა:**

**1964-1966 წ. წ. მომზადებულ იქნას 11 ათასი სპორტის ოსტატი, 160 ათასი პირველთანრიგოსანი, 10 მილიონი — მეორე, მესამე და ჭაბუკთა თანრიგის სპორტსმენი, 2,5 მილიონი საზოგადოებრივი ინსტრუქტორი და მსაჯი.**

## წიგნის თაროზე სპორტული ლიტერატურით

# სასარგებლო და მისაბაძი ნაშრომი

— ვინ დაამყარა საქართველოს პირველი რეკორდი 400 მეტრზე რბენაში, თარჯრბენში ან სამხტომში? სად, როდის, რა შედეგით?

ვფიქრობთ, ამ კითხვებზე პასუხის გაცემა გაუჭირდებოდა სპორტის ყველაზე გათვითცნობიერებულ მოყვარულსაც კი. პასუხის გამოძებნისათვის მას მოუხდებოდა ბიბლიოთეკის სეიფებში გადანახული ჟურნალ-გაზეთების დაუსრულებელი ფურცვლა, სპორტკავშირის ანგარიშებისა და დროისაგან ფერშეცვლილი საარქივო მასალების ძებნა. ყველა დაინტერესებულ გულშემატკივარს და სპეციალისტს ამ მძიმე სამუშაოს უმსუბუქებს ლევან გიორგაძის წიგნი „საქართველოს რეკორდები მძლეოსნობაში", რომელიც მიმდინარე წელს გამოსცა გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ".

წიგნში გადმოცემულია მძლეოსნობაში სარეკორდო შედეგების დინამიკა 1922 წლიდან 1962 წლის ჩათვლით. ათვალიერებთ წიგნში შეტანილ ზღვა მასალას და რწმუნდებით, რომ ეს ვრცელი ცნობარი მხოლოდ საქმის ერთგული, მცოდნე და დაუღალავი ავტორის შრომის ნაყოფია.

გარდა იმისა, რომ წიგნში მოცემულია საქართველოში მძლეოსნობის განვითარების მოკლე ისტორია, იგი გამდიდრებულია მრავალგვარი ცხრილებითა და დიაგრამებით, სადაც ყოველი მაჩვენებელი (რეკორდის ავტორი, დრო, ადგილი, შედეგი და სხვ.) გულდასმითაა შემოწმებული და აღნუსხული. რბენები ყველა დისტანციაზე, ერთსაათიანი რბენა, თარჯრბენი, ამანათრბენები, სპორტული სიარული, ყველა სახის ხტომები, ტყორცნები, მრავალჭიდები. აი, მძლეოსნობის ქვესახეობანი, რომელთა შესახებაც ლაპარაკია წიგნში.

ლ. გიორგაძის წიგნში რეკორდების დინამიკა უბრალო ქრონოლოგიის სახით როდია მოცემული; გზადაგზა გაკეთებულია სარეკორდო მიღწევების ანალიზი, რაც თავისთავად უჩვენებს ამა თუ იმ პერიოდში მძლეოსნობის განვითარების დონეს ჩვენს რესპუბლიკაში. ამდენად, ეს სარეკორდო მაჩვენებლები დიდ სამსახურს უწევენ თანამედროვეობასაც: ამ ცხრილებს უკან კარგად ჩანს მძლეოსანთა ცალკეული მიღწევებისა თუ წარუმატებლობათა ძირითადი მიზეზები, რისი გათვალისწინებაც დღეს დაეხმარება ჩვენს მწვრთნელებს საწვრთნო მუშაობის წარმართვაში.




წიგნის დიდ ღირსებად ისიც ითვლება, რომ მასში მკითხველი ნახულობს არა მარტო სარეკორდო შედეგებს, არამედ ეცნობა აგრეთვე თვით რეკორდის ავტორს, მის მიერ განვლილ სპორტულ გზას, რეკორდისათვის ბრძოლას და მისი წვრთნის მეთოდიკის ზოგიერთ დეტალს. ეს წიგნი წარმოადგენს ზუსტ მატეანეს მძლეოსნობის იმ ღვაწლმოსილ ვეტერანებისას, რომლებმაც თავის დროს დიდი წვლილი შეიტანეს სპორტის ამ სახეობის განვითარებაში.

მკითხველი ამ წიგნში მონახავს აგრეთვე ბევრ საინტერესო ცნობას მძლეოსნობის ისტორიიდან. ასე მაგალითად: 1939 წლამდე თურმე თარჯრბენში არც ერთი რეკორდი არ ჩაითვლებოდა, თუ მორბენალი ერთ თარჯს მაინც წააქცევდა, და ა. შ.

უნდა შევნიშნოთ, რომ ლ. გიორგაძის წიგნში მოცემული რეკორდების დინამიკის ამსახველი ცხრილები დაუსრულებლად შეიძლება გართულდეს და გამრავალფეროვანდეს. ასე მაგალითად, სასურველი იყო საქართველოს ყოველი რეკორდი შედარებული ყოფილიყო საბჭოთა კავშირისა და მსოფლიოს რეკორდებთან, ეს საშუალებას მოგვცემდა უკეთესად შეგვეფასებინა ჩვენი მძლეოსნების წარმატებანი ამ საერთო ფონზე. ასევე შეიძლებოდა აღნუსხულიყო ბავშვთა და მოზარდთა რეკორდებიც: იმედია, ავტორი არ შეწყვეტს მუშაობას ამ საინტერესო თემაზე და თავის შრომას მომავალში გაამდიდრებს ზემოხსენებული მონაცემებითაც.

დასასრულს, გვინდა გამოვთქვათ სურვილი, რომ მსგავსი შრომები შეიქმნას აგრეთვე ცურვაში, სიმძიმეების აწევაში, სროლასა და ზოგიერთ სხვა სახეობაში. ჩვენი სპორტული მოძრაობის სხვა წარმომადგენლებმაც უნდა მოჰკიდონ ხელი ამ ნამდვილად საშვილიშვილო საქმეს!

**ა. ციბაძე,**
საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის საერთო ფიზ. მომზადების ფაკულტეტის დეკანი,

**ჯ. ათაბეგოვი,**
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი მძლეოსნობაში.

# ბრძოლა ფინიშზე

უკვე ათი წელია, რაც ჩვენს რესპუბლიკაში ყოველწლიურად ტარდება პირველობა მხატვრულ ტანვარჯიშში სპორტის ოსტატის პროგრამით.

სპორტის ამ სახეობის პოპულარიზაციის თვალსაზრისით საქართველოს სპორტსაზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირმა შეჯიბრებები მოაწყო არა მარტო დედაქალაქში, არამედ რესპუბლიკის სხვა ქალაქებშიც.

რესპუბლიკის მორიგი პირადგუნდური პირველობა გაიმართა გორის პედაგოგიური ინსტიტუტის სპორტულ დარბაზში. თბილისის 30 უძლიერესი ტანმოვარჯიშე (ორი გუნდი მოზრდილთა და ერთი — მოსწავლეებისა), აგრეთვე ბათუმისა და რუსთავის უძლიერესი სპორტსმენები ჩამოვიდნენ აქ, რათა ძალები ეცადათ სპორტულ მრავალჭიდში სავალდებულო და ნებისმიერ პროგრამით. მიუხედავად იმისა, რომ განაცხადი იყო სოხუმისა და ქუთაისის გუნდებიდანაც, ისინი შეჯიბრებაზე არ ჩამოვიდნენ. კვლავ არ იყვნენ მონაწილეები გორიდან, ფოთიდან და ცხინვალიდან.

შეჯიბრების დაწყებიდანვე ნათელი გახდა, რომ ბრძოლა პირველი ადგილისათვის ძირითადად გაიმართებოდა თბილისელ გამოცდილ სპორტსმენებს — ნ. ხერხეულიძესა და დ. შელიას შორის.

მათ ფეხდაფეხ მისდევდნენ ი. ადაშკოვა, ს. მაჭავარიანი, გ. ბერიძე. წინ კიდევ რჩებოდა ნებისმიერი ვარჯიშები საგნით და უსაგნოთ.

სამწუხაროდ, შეჯიბრების მსაჯთა მთავარმა კოლეგიამ არ გამოიყენა უკანასკნელ წლებში მიღებული წესი: შეჯიბრების საუკეთესო ათი მონაწილისაგან ცალკე ჯგუფის შედგენა, რაც საშუალებას მისცემდა მსაჯებს უკეთ შეეფასებინათ მეტოქეები და ამასთან შეჯიბრებას ბევრად უფრო საინტერესოს გახდიდა სანახაობრივად.



საგნის, მუსიკისა და აგრეთვე ნებისმიერი კომპოზიციის შედგენის არჩევა ტანმოვარჯიშის წინაშე ფართო შესაძლებლობას ჰქმნის სპორტული ინდივიდუალობის გამოსამჟღავნებლად.

იმის გარდა, რომ განსაკუთრებული მოთხოვნები წაეყენება ელემენტთა შესრულების ტექნიკას, მსაჯები დიდ ყურადღებას აქცევენ გამომსახველობას, მუსიკალური თანხლებისა და ვარჯიშის ხასიათის შესატყვისობას, საერთო შთაბეჭდილებას.

წილისყრის შედეგად, თბილისის პირველი გუნდის მონაწილე ნ. ხერხეულიძე თანაგუნდელ დ. შელიაზე ადრე გამოდიოდა. სავალდებულო პროგრამაში დ. შელია მეტოქეს 0,4 ქულით ჩამორჩებოდა.

აი, გაისმის სენ-სანსის კონცერტის მელოდიები. ნ. ხერხეულიძემ კიდევ ერთხელ გვიჩვენა მაღალი ტექნიკა რთული ბრუნვების, წონასწორობისა და ხტომითი ნაერთების შესრულების დროს. მაყურებელს მშვენივრად ესმოდა, თუ რა რთული და დაძაბული მუშაობა უსწრებდა წინ ასეთ გამოსვლას. მსაჯებმა 9,4 ქულით შეაფასეს ვარჯიში.

თბილისის პირველი გუნდის დანარჩენი წევრების გამოსვლების შემდეგ მოედანზე კვლავ ნ. ხერხეულიძე გამოიძახეს. ახლა მას ნებისმიერი პროგრამა საგნით — ვიმპელით უნდა შეესრულებინა ა. ხაჩატურიანის „ცეკვა ხმლებით" მუსიკის მოტივებზე. უკვე ხუთი წელია, რაც იგი ამ ვარჯიშს ასრულებს და ყოველ გამოსვლაზე იგი სულ უფრო აუმჯობესებს მას. ამაღელვებელი მუსიკის პირველსავე აკორდებზე წითელი ვიმპელები სპორტსმენის თავზე ცეცხლის ალის ენებად იკლაკნებიან. ამას მოსდევს მოძრაობათა რთული სერია: სპორტსმენი ასრულებს ბრუნვებს, ხტომებს და ბოლომდე ერთგული რჩება მუსიკალური თანხლების ხასიათისა. მსაჯები მხოლოდ მცირე შეცდომებს ამჩნევენ და საერთო ჯამში 9,55 ქულა გამოჰყავთ.

მოედანზე გამოდის დ. შელია. იგი თავის ნებისმიერ ვარჯიშს ასრულებს არაჩვეულებრივი ალფრთოვანებით, ხანდახან გგონია, რომ მუსიკა, მოძრაობა და შემსრულებელი ერთ მთლიანობად იქცა. თვით დ. შელიას კი თითქოს დაავიწყდა, რომ საპასუხისმგებლო შეჯიბრებაზე გამოდის: მასში სრულიად არ იგრძნობა დაძაბულობა, აღელვება. 9,5 ქულა — ასე შეფასდა მისი გამოსვლა.

პირველობის დასკვნითი ნაწილი იყო დ. შელიას ვარჯიში ბაფთით. ტანმოვარჯიშის ყოველი მოძრაობა ზუსტია, მსუბუქი, მაღალი კულტურითა და გამომსახველობით. დარბაზმა მხურვალე ტაშით შეაფასა მისი გამოსვლა. 4-დან 2 სამსაჯო დაფაზე უმაღლესი შეფასება „10" გამოჩნდა. საბოლოოდ კი მან 9,8 ქულა დაიმსახურა.

მრავალჭიდში საქართველოს 1963 წლის ჩემპიონობა მხატვრულ ტანვარჯიშში მოიპოვა ნ. ხერხეულიძემ — 56,7 ქულა. მხოლოდ 0,05 ქულით ჩამორჩა მას დ. შელია. მესამე ადგილზე გამოვიდა სპორტის ოსტატი ი. ადაშკოვა — 55,55 ქულა.

გუნდურ პირველ ადგილს დაეუფლნენ თბილისის პირველი გუნდის სპორტსმენები — 350,075 ქულა. მეორე ადგილზე გამოვიდა თბილისის მეორე გუნდი — 342,925 ქულა. მესამე ადგილი წილად ხვდათ თბილისის მოსწავლეთა გუნდის წევრებს — 174,9 ქულა.

**ნ. სალუქვაძე**

* * *



**სურათებზე:** ზევით — ნ. ხერხეულიძე, ქვევით — დ. შელია.

## რესპუბლიკის რაიონებში

### ზესტაფონი

ამ დღეებში გაიმართა „კოლმეურნის" ზესტაფონის რაიონული საბჭოს XIII კონფერენცია. მოხსენებით გამოვიდა „კოლმეურნის" რაიონული საბჭოს თავმჯდომარე ნ. კაკაურიძე. მან ილაპარაკა იმ მიღწევებზე, რაც საანგარიშო პერიოდში ჰქონდათ. მიღწევების გვერდით მომხსენებელმა აღნიშნა ნაკლოვანებებიც, რომლებიც რაიონის ბევრი სოფლის ფიზკულტურულ ორგანიზაციაში შეინიშნება.

მოხსენების ირგვლივ კამათში მონაწილეობა მიიღეს კ. უკლებამ, ჯ. ჯანიაშვილმა, გ. აბაშიძემ, ს. გურგენიძემ, კ. რობაქიძემ, ა. ბურულაშვილმა.

„კოლმეურნის" ზესტაფონის რაიონული საბჭოს თავმჯდომარედ კვლავ აირჩიეს ნ. კაკაურიძე.

**ლ. ჯიშიაშვილი**

### ზუგდიდი

ამ დღეებში ზუგდიდში ჩატარდა სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის" პირველი რაიონული კონფერენცია, სადაც საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა საზოგადოების თავმჯდომარე შ. ჩანგელია. მოისმინეს აგრეთვე სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის ი. შენგელიას ანგარიშიც. მომხსენებლებმა ილაპარაკეს ზუგდიდის რაიონის ფიზკულტურული კოლექტივების წარმატებებსა და ნაკლოვანებებზე.

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ი. ნაჭყებიამ, კ. მატუამ, ს. ბერაიამ, ა. კობახიძემ, ს. დამარგულიამ, რ. გულიამ და სხვ. კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს სსრ „კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს წარმომადგენელი გ. ხოშტარია.

„კოლმეურნის" ზუგდიდის რაისაბჭოს თავმჯდომარედ არჩეულ იქნა შ. ჩანგელია, მოადგილედ — გ. გარდავა.

**გ. ალშიბაია**

რესპუბლიკის რაიონებში

# დაიმსხვრევა თუ არა ყინული?

ინსბრუკის „თეთრი ოლიმპიადის" წინ სათხილამურო სპორტით დაინტერესებულთ ძალაუნებურად აგონდებათ, რომ საბჭოთა სამთო-მოთხილამურეებს უკანასკნელ წლებში არაფრით გამოუჩენიათ თავი საერთაშორისო შეჯიბრებებში. არც იმის თქმა შეიძლება, რომ ისინი ყოველთვის აუტსაიდერთა შორის იმყოფებოდნენ, მაგრამ მათ მეტი მოეთხოვებათ.

კორტინა დამპეცოში მხოლოდ ე. სიდოროვამ (კაბინამ) მოიპოვა ბრინჯაოს მედალი. სკვო-ველის ოლიმპიადაზე საბჭოთა მოთხილამურეთაგან საუკეთესო ს. კორზუხინამ მეშვიდე ადგილი დაიკავა გიგანტურ სლალომში. შემდეგში, ევროპის ერთ-ერთ ტრადიციულ შეჯიბრებაზე ვ. ტალიანოვი მეათე ადგილზე გამოვიდა, მაგრამ ყველა ეს „წარმატებანი" ეპიზოდურ ხასიათს ატარებდა და პირველ ეშელონში ადგილის დამკვიდრებაზე საბჭოთა სამთო-მოთხილამურეებს მხოლოდ ოცნება შეეძლოთ.

შეიტანს თუ არა რაიმე ცვლილებას ინსბრუკის ოლიმპიადა საბჭოთა სამთო-მოთხილამურეთა მაჩვენებლებში, დაიმსხვრევა თუ არა ყინულის კედელი, რომელიც მათ წინაა აღმართული საერთაშორისო სარბიელზე?

ზედმეტად გაბედული იქნებოდა აზრი იმის შესახებ, რომ ამ სახეობაში ჩვენს სპორტსმენებს წინასწარ „ვაჩუქოთ" IX ოლიმპიადის მედლები, მაგრამ დარწმუნებით უნდა ითქვას, რომ ახალ სეზონში ისინი გაცილებით უკეთ გამოვლენ, ვიდრე წინა წლებში.

გასულ წელს საბჭოთა სამთო-მოთხილამურეებმა მიიღეს პირველი ბაზა, რომელიც პასუხობს საერთაშორისო კლასის მოთხოვნებს. ესაა ჩეგეტის მთაზე გაყვანილი ახალი ტრასები. აქ გამართულმა შეჯიბრებამ საგრძნობლად წინ წასწია ჩვენი სპორტსმენების შესაძლებლობანი.

ავანგარდში მოხვდნენ უფრო გამოცდილი სპორტსმენები, ისეთები, როგორებიც არიან ა. ფილატოვი, ვ. ტალიანოვი, ტ. მონასტირევი, ს. დემიდოვა (კორზუხინა), ლ. ვოლკოვა და ახალგაზრდები ა. ივანოვა, ლ. როდიონოვა, ვ. მელნიკოვი, ვ. ბელიაკოვი, ვ. შეინი — სპორტსმენები, რომლებიც კარგად იცნობენ სამთო-სათხილამურო სპორტის თანამედროვე ტექნიკასა და სავსე არიან ახალგაზრდული გატაცებით.

საბჭოთა ოლიმპიურ გუნდში ვეტერანების გვერდით ადგილს დაიმკვიდრებენ ახალგაზრდები, რომელთა შორის განსაკუთრებული ყურადღების ღირსნი არიან ორნი — ა. ივანოვა და ვ. მელნიკოვი. ა. ივანოვა 20 წლისაა, მაგრამ უკვე ორი წელია ატარებს ოსტატის ნიშანს.

ივანოვა და მელნიკოვი თავში უდგანან ახალგაზრდა მოთხილამურეთა მთელ ჯგუფს, რომელთა შორის შეიძლება აღინიშნოს ი. ჯანგრობეგოვი, შ. [illegible] ვ. [illegible] ვერდოვი, ბ. კახიანი და სხვები. შეიძლება ამ ახალგაზრდებმა ინსბრუკის თამაშებზე გამარჯვება ვერ მოიპოვონ, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ეს იქნება მათი საუკეთესო სკოლა.

**ლ. ლეონოვი,**
**„ნოვოსტის" სააგენტოს კორესპონდენტი.**

## საბჭოთა კავშირი — პირველ ადგილზე

პოლონეთის სპორტული გაზეთი „პშეგლონდ სპორტოვი" ყოველი წლის ბოლოს აჯამებს მსოფლიო ჩემპიონატების შედეგებს და გამოჰყავს უძლიერესი ქვეყანა ამ შედეგების მიხედვით. გაზეთი საფუძვლად იღებს ქულათა დარიცხვის ოლიმპიურ სისტემას (პირველი ადგილი — 7 ქულა, მეორე ადგილი 5 ქულა და ასე შემდეგ). როგორც გამოირკვა, მიმდინარე წელს გათამაშდა მსოფლიო პირველობა სპორტის 17 სახეობაში. აი როგორი თანმიმდევრობით განაწილდა ადგილები მსოფლიოს უძლიერეს სპორტულ ქვეყნებს შორის:

1. საბჭოთა კავშირი — 129 ქულა, 2. ამერიკის შეერთებული შტატები — 63 ქულა, 3. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა — 43 ქულა, 4. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა — 43 ქულა, 5. უნგრეთი — 40 ქულა, 6. რუმინეთი — 34 ქულა, 7. პოლონეთი — 33 ქულა. 8-9. იაპონია და შვეცია — 30 ქულა თვითეულს, 10. საფრანგეთი — 28 ქულა.

ჩვენი ქვეყნის სპორტსმენები წინ არიან აგრეთვე მოპოვებული ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებით. აქ მხედველობაშია მიღებული ის მედლებიც, რომლებსაც გუნდის წევრები იღებენ სათითაოდ. ამიტომ მისი რაოდენობა შეიძლება არ შეესატყვისება ოლიმპიური ქულების დარიცხვის სისტემას. მაგალითად, კალათბურთში პირველი ადგილი ოლიმპიურ ჩათვლაში მხოლოდ 7 ქულას იძლევა. ქემოთმოყვანილ ცხრილში კი ნაგულისხმევია ყველა 10 მედალი, რომელსაც გუნდი იღებს პირველი ადგილისათვის.

საბჭოთა კავშირი — ოქროს 26, 17 ვერცხლის და 17 ბრინჯაოს მედალი — სულ 60; შეერთებული შტატები (შესაბამისად) — 11, 10 და 10 (სულ 31), გფრ — 5, 10 და 8 (სულ 23); უნგრეთი — 6, 5 და 12 (სულ 23); გდრ — 7, 8 და 6 (სულ 21) და ა. შ.



## პირველი წრის მიჯნაზე

ინგლისში დასასრულს უახლოვდება საფეხბურთო ჩემპიონატის პირველი წრე. ამჟამად ლიდერობს „ლივერპული" (18 თამაშიდან 25 ქულა), რომელმაც უკანასკნელ გასვლით მატჩში დაამარცხა „მანჩესტერ იუნაიტედი" (1 : 0). ასეთი დიდი წარმატების მიუხედავად გუნდს მიმომხილველები მაინც არ თვლიან პირველი ადგილის სერიოზულ პრეტენდენტად, ვინაიდან „ლივერპულს" არ გააჩნია საჭირო რესურსები და თანდათან დაუთმობს პოზიციებს უფრო ძლიერ და მდიდარ კლუბებს.

ჩემპიონობის ძირითად პრეტენდენტებად ამჟამად მიაჩნიათ ოთხი გუნდი: „არსენალი", „ტოტენჰემ ჰოტსპური", „მანჩესტერ იუნაიტედი" და „ევერტონი". „ტოტენჰემ ჰოტსპური" გამოირჩევა შემტევი, ძალზე შედეგიანი თამაშით (20 თამაშში 55 გოლი), რაშიც მთავარი დამსახურება მიუძღვის სმიტისა და გრივსის ცნობილ „დუეტს". მართალია, ამჟამად ეს „დუეტი" დროებით დაიშალა, ვინაიდან სმიტმა სერიოზული ტრავმა მიიღო, მაგრამ საუკეთესო შთაბეჭდილებას ტოვებს გრივსის თამაში. მან უკვე 17 გოლი გაიტანა და სნაიპერთა ცხრილში პირველ ადგილს იყოფს ბეიკერთან („არსენალი"). უარესადაა საქმე „ტოტენჰემის" დაცვაში, რომელმაც უკვე გაუშვა 44 გოლი. მწვრთნელის ნიკოლსონის მრავალრიცხოვანმა ექსპერიმენტებმა ჯერჯერობით რეალური შედეგები არ მოიტანა და თუ კლუბმა დაცვის პრობლემა არ გადაჭრა, იგი ვერც იოცნებებს საპრიზო ადგილზე.

შედარებით სტაბილურად თამაშობს „მანჩესტერ იუნაიტედის" დაცვა (გაუშვა 24 გოლი). მეკარე გრეგი (იგი 1958 წელს მსოფლიოში უძლიერესად ითვლებოდა) ახლაც ბრწყინვალედ თამაშობს. თავდასხმაში გამოირჩევიან ჰერდი (№ 9), ლო (№ 10) და ჩარლტონი (№ 11). გუნდის მწვრთნელი ბასბი წელს სერიოზულად აპირებს ჩემპიონობისათვის ბრძოლას.

„არსენალმა", რომელსაც წვრთნის წარსულში პოპულარული ფეხბურთელი ბ. რაიტი, სეზონი ცუდად დაიწყო, მაგრამ ბოლო 8 თამაშიდან 7 მოიგო. ახლა სპეციალისტები აცხადებენ, რომ სწორედ „არსენალი" მოიპოვებს ჩემპიონობას. განსაკუთრებულ მოწონებას იმსახურებს „არსენალის" ცენტრფორვარდის ბეიკერის თამაში. მისი საფეხბურთო ბედი კურიოზულია. თუ აქამდე შოტლანდიელი მოთამაშეები სახელს იხვეჭდნენ ხოლმე ინგლისში, ახლა მოხდა პირიქით: ინგლისელი ბეიკერი დაწინაურდა ჯერ შოტლანდიაში, ხოლო შემდეგ — იტალიაში.

ჩემპიონობის მეოთხე სერიოზულ პრეტენდენტად თვლიან ამ წოდების ახლანდელ მფლობელს „ევერტონს".

## ნქვამე ნქრუმას თასზე

აფრიკის 6 სახელმწიფო: განა, ნიგერია, ტუნისი, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა, სუდანი და ეთიოპია მონაწილეობენ აფრიკის თასზე ფეხბურთში. ესაა აფრიკის თასის IV გათამაშება.

ქ. აკრაში გაიმართა აფრიკის ფეხბურთის ფედერაციის VI კონგრესი, რომელსაც ესწრებოდა 60 დელეგატი სხვადასხვა ქვეყნიდან. კონგრესმა მიიღო გადაწყვეტილება აფრიკის თასის გათამაშების გარდა (ეროვნულ ნაკრებ გუნდებს შორის) ამიერიდან დაწესდეს გათამაშება ჩემპიონებს შორის, როგორც ეს ევროპასა და სამხრეთ ამერიკაშია.

აფრიკის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებას, რომელიც ყოველწლიურად იწარმოებს, ოფიციალურად ეწოდება განის პრეზიდენტის ნკვამე ნკრუმას სახელობის თასის გათამაშება.

აუტსაიდერთა შორის ახლავე განწირულად მიაჩნიათ ინგლისის 1961-62 წლების ჩემპიონი „იპსვიჩ ტაუნი". მომდევნო სეზონში „იპსვიჩმა" ძლივს დააღწია თავი მეორე ლიგას, მაგრამ ახლა, 1963-64 წლების ჩემპიონატში მას 19 თამაშიდან მხოლოდ 5 ქულა აქვს და „მტკიცედ" უკავია 22-ე, უკანასკნელი ადგილი.

* * *

**„ტოტენჰემის" ცენტრალური ფორვარდი და კაპიტანი ჯ. გრივსი თანამედროვეობის ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელად ითვლება.**

**სურათზე: გრივსს თავით გააქვს ბურთი კალენდარულ მატჩში „მანჩესტერ სიტისთან".**

## „შემოდგომის ჩემპიონი"

ჩეხოსლოვაკიის ჩემპიონატში დამთავრდა პირველი, ე. წ. „შემოდგომის წრე". პირველობას არავის უთმობს პოპულარული კლუბი „დუკლა", რომელსაც 13 თამაშიდან 20 ქულა აქვს. პრაღის არმიელთა თავდასხმამ ჯერჯერობით ყველაზე მეტი გოლი გაიტანა (30), დაცვამ კი ყველაზე ნაკლები (11) გაუშვა.

18 ქულით მეორე ადგილზეა ბრატისლავას „სლოვანი", მესამეზე (17 ქულა) — ოსტრავას „ბანიკი". დანარჩენი გუნდები პირველი ადგილისათვის ბრძოლაში მონაწილეობას არ იღებენ.

## ჰერბერგერის გადადგომა

მაინის ფრანკფურტში გამართულ პრეს-კონფერენციაზე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფეხბურთელთა კავშირის ხელმძღვანელობამ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ მიმდინარე სეზონის დამთავრების შემდეგ გადადგება ეროვნული ნაკრების მწვრთნელი იოზეფ ჰერბერგერი. მის პოსტზე მუშაობას დაიწყებს ჰერბერგერის მრავალი წლის ასისტენტი შოენი.

ჰერბერგერი ყველაზე ხნიერია ეროვნულ ნაკრებთა დღევანდელ მწვრთნელებს შორის—იგი 67 წლისაა. მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთ გერმანიის ნაკრები დიდად არ გამოირჩეოდა „ვარსკვლავებით", სწორედ ჰერბერგერის ხელმძღვანელობით მიაღწია მან თვალსაჩინო წარმატებებს. გერმანელებმა 1964 წელს მსოფლიო ჩემპიონობა მოიპოვეს, ხოლო 1958 წელს მეოთხე ადგილზე გამოვიდნენ.

ჰერბერგერი ხელმძღვანელობდა როგორც ეროვნულ ნაკრებს, ისე ოლიმპიურ გუნდსაც. ამასთან იგი არასოდეს ყოფილა დაკავშირებული რომელიმე საკლუბო გუნდთან.

## რატომ „წავიდა" რ. შტაუბი?

როჯე შტაუბს შვეიცარიის სამთო-სათხილამურო სპორტის ნაკრები გუნდის უფროსი მწვრთნელის პოსტზე დიდხანს ყოფნა არ დასცალდა. ფაქტიურად მან ვერც მოასწრო თავისი მოვალეობის აღსრულების დაწყება, თუმცა სპორტული საზოგადოებრიობა დაჟინებით მოითხოვდა, რომ ინსბრუკის ოლიმპიადისათვის გუნდი მოემზადებინა სწორედ შტაუბს —სკვო-ველის ოლიმპიადის ოქროს მედლის მფლობელს. შვეიცარიის სათხილამურო კავშირმა შტაუბის განთავისუფლებასთან დაკავშირებით მრავალი მიზეზი მოიყვანა, მაგრამ შტაუბის განდევნის ნამდვილი მიზეზი გამოაქვეყნა ავსტრიულმა გაზეთმა „ფოლკსშტიმემ". გამოირკვა, რომ შტაუბი დიდ ხანს იყო კავშირში ავსტრიის სპორტული ინვენტარის ფირმებთან, ეს კი სულაც არ აწყობს თხილამურების შვეიცარელ ფაბრიკანტებს, რომლებიც არ იშურებენ ძალებს ავსტრიელ კონკურენტებთან ბრძოლაში. გარდა ამისა, თავიანთი ქვეყნის ნაკრებს ზამთრის ოლიმპიადისათვის ხომ შვეიცარელი ფაბრიკანტები აფინანსებენ. ამგვარად, ვინც ფულს იხდის, ის იძლევა მუსიკის შეკვეთასაც.

**რედაქტორი ი. უგულავა.**

ДЕЛО
ИНДЕКС 66448

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14.
დეპეშებისათვის—თბილისი, „ლელო", ტელეფონები: რედაქტორის — 8-35-82. პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებებს — 8-35-09.

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი". თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 00848